ხელშეკრულება № 121
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გურჯაანი 23 ივლისი 2018 წელი

ერთის მხრივ, გურჯაანის მუნიციპალიტეტი (ს/კ 227765022) წარმოდგენილი მისი მერის არჩილ ხანდამაშვილის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და *მეორეს მხრივ შპს „ზოდი პლიუსი", მისი დირექტორი ლევან პეპენაშვილის სახით* (ს/კ 202424313) (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების" მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელელ ვაჩნაძეანიდან ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას შეწირული 2 ახალგაზრდის მიხეილ მარჩილაშვილისა და ალექსანდრე ნატროშვილის სახელების უკვდასვსაყოფად 2 (ორი) ერთეული მემორიალური დაფის (გრანიტის ქვა წარწერით) შესყიდვა.

2.2 cpv კოდი: 44900000; 44912100.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 400 (ოთხასი) ლარს.

3.2 ხელშეკრ,ულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია: ა) საქონლის მიღების დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება; ბ) საქონლის მიწოდებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

4.2 შემსყიდველი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია: ა) საქონლის მიწოდება სრული მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 8.1 პუნქტში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, საქონელის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლსა და ზედამხედველობას განახორციელებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ეკა ცისკარაშვილი და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განყოფილების უფროსი თამარი ფურცელაძე.

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს და მიღება-ჩაბარების აქტს;

8. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: **გურჯაანის მუნიციპალიტეტის, სოფელი ვაჩნაძეანი.**

8.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2018 წლის 23 ივლისიდან, 2018 წლის 1 აგვისტომდე.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახალშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრლებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.5. ხელშეკრულების 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიწრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 23 ივლისიდან და მოქმედებს 2018 წლის 15 სექტემბრამდე.

შემსყიდველი: გურჯაანის მუნიციპალიტეტი ს/კ 227765022 ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბ/კ TRESGE22, ანგარიშის №GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი: შპს „ზოდი პლიუსი"; ს/კ 202424313; საქართველო, თბილისი, წერეთლის 149; ს.ს. "საქართველოს ბანკი", ბ/კ BAGAGE22, ანგარიშის №GE13BG0000000313377700.

გურჯაანის მუნიციპალიტეტი **მერი** **არჩილ ხანდამაშვილი**	**შპს „ზოდი პლიუსი"** **დირექტორი** **ლევან პეპანაშვილი**